მწერლის არქივიდან

კორნელი კეკელიძე

ალექსანდრე ყაზბეგი[1]

საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიაში შემდეგი გარემოება იქცევს ყურადღებას: პარტია და ხელისუფლება ყოველგვარ ზომას ღებულობენ მისი განვითარების, წინსვლის, იდეურად და მხატვრულად გამდიდრებისა და გაფურჩქვნისათვის. ამასთან ერთად ისინი უდიდეს პატივისცემას იჩენენ წარსული პერიოდის მწერლებისადმი, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დასტოვეს ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს პატივისცემა გამოიხატება, ერთი მხრივ, იმაში, რომ არ იზოგება ძალ-ღონე და საშუალება მათი თხზულებების სისტემატური გამოცემებისათვის, მეორე მხრივ, იმაში, რომ მათი ცხოვრების ამა თუ იმ თარიღთან დაკავშირებით საზეიმოდ აღინიშნება მათი ხსოვნა. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ამ უკანასკნელი ხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენ, ჩვენს კავშირში შემავალ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად, უდიდესი აღფრთოვანებით და ზეიმით აღვნიშნეთ საიუბილეო თარიღები დიდი შოთასი, ილიასი, აკაკისა და ვაჟა-ფშაველასი. ასეთ დღესასწაულთა კატეგორიას განეკუთვნება ის ზეიმი, რომელსაც, დიდი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით, ადგილი აქვს ამ დღეებში ყველგან ჩვენში და რომლის გამოხმაურებას წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი შეკრებაც.

ალექსანდრე ყაზბეგმა უთუოდ დაიმსახურა ასეთი ყურადღება და პატივისცემა. ის ერთ-ერთი მსხვილი ფიგურაა ჩვენი ლიტერატურული წარსულისა. მან განამტკიცა ჩვენში ტრადიცია მხატვრული პროზისა და თავისი წვლილი შეიტანა ქართული რომანის განვითარების საქმეში. თავის უკვდავ ნაწარმოებებში მან მოგვცა განუმეორებელი სურათები მისი წარმოშობის მთების სიდიადისა და ამ მთებში მობინადრეთა დამახასიათებელი თვისებებისა, როგორიცაა: მოხდენილობა, მამაცობა, შემმართებლობა, შეუდრეკელი ნებისყოფა, პატიოსნება, სამართლიანობა, ჰუმანიურობა, განსაკუთრებით კი განუზომელი, უსაზღვრო სიყვარული თავისუფლებისა და სამშობლოსადმი.

სიყვარული თავისუფლებისა და სამშობლოსადმი, მთავარი, წამყვანი მოტივია ა. ყაზბეგის შემოქმედებაში; ეს მოტივი შეუნელებლად ქუხს მის რომანებში, როგორც მისი მშობლიური მთებიდან გადმოვარდნილი და მარგალ-

---

[1] შესავალი სიტყვა ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაზე მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, წარმოთქმული 1948 წლის 20 სექტემბერს.

ტის წინწკლებად დაფანტული ჩანჩქერი. მეცნიერება, რომლის დროშაზე ფრთაშესხმულია „ჭეშმარიტების ძიება“, ვერ მოიხდის თავის ვალს ა. ყაზბეგის წინაშე მხოლოდ იმით, რომ მან გაფანტა უსაბუთო, უნიადაგო მითქმა-მოთქმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოდესღაც ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ფენებში და რომელიც მიზნად ისახავდა განსვენებულის თავიდან მოეგლიჯა გვირგვინი დიდი მწერლისა და მისი თხზულებების ავტორად ვილაც სხვა გამოეცხადებია. ის, მეცნიერება, მოვალეა აგრეთვე ამხილოს ყოველგვარი ყალბი მოსაზრება მისი შემოქმედების გარშემო, პირველ ყოვლისა მისი პატრიოტიზმის შესახებ, რადგანაც, როგორც ვთქვით, პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი სიყვარული მთავარი მოტივია მისი შემოქმედებისა. ამასთან დაკავშირებით, მე მინდა დღეს ორიოდე სიტყვით შევჩერდე ამაზე.

იყვნენ და ახლაც არიან ისეთი მკვლევარნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ პატრიოტიზმმა, სამშობლოსადმი სიყვარულმა ა. ყაზბეგი ანტირუსულ განწყობილებამდე მიიყვანა. ალბათ ასეთი შეხედულების საწინააღმდეგოდ ახლახან წამოყენებულ იქნა შემდეგი მოსაზრება: ალექსანდრეს პაპა გაბრიელ ყაზბეგი, „არის პროტოტიპი „ელგუჯას“ ერთ-ერთი მთავარი გმირისა. ამ მოთხრობის პერსონაჟი სვიმონ ჩოფიკაშვილი, რომლის პოლიტიკურ კონცეფციას და ფიქრებს ქართლის ბედის გამო მწერალი იზიარებს, ეს იგივე გაბრიელ ყაზბეგია (გ. ნატროშვილის წერილი „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, 1948, № 34). გამოდის, მაშასადამე, რომ ა. ყაზბეგი პატრიოტიზმმა ქართლის ბედის საკითხებში მიიყვანა იქამდი, რომ ის შეიქნა პოლიტიკური თანამოაზრე თავისი პაპის გაბრიელისა; გაბრიელი კი, როგორც ცნობილია, „მარჯვენა ხელი“ იყო გენერლის პ. ციციანოვისა და საყრდენი მისი ქართველებისადმი დამოკიდებულებისა.

ვფიქრობ, ეს მოსაზრებები, ერთიცა და მეორეც, მცდარი და მიუღებელია.

არ არსებობს უცილობელი საბუთი იმისა, რომ ა. ყაზბეგი ანტირუსული განწყობილების ადამიანად ვალიაროთ, მისი მაღალი ჰუმანიურობა მას ეროვნული შეზღუდულობისა და პარტიკულიარიზმის გარეშე აყენებდა. ის უარყოფითად განწყობილი იყო არა რუსებისადმი, დიდი რუსი ხალხისადმი ზოგადად, არამედ სამხედრო-ფეოდალური, პოლიციურ-ჟანდარმული ცარიზმის მიმართ, რომელიც მძიმე ლოდად აწვა კისერზე თვით რუს ხალხს. ცარიზმის პოლიტიკა არარუსი ხალხების მიმართ მიმართული იყო იმისაკენ, რომ ჩაეკლა მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის ჩანასახი, დაესახიჩრებია მათი კულტურა, შეევიწროვებინა ენა, სიბნელეში ჰყოლოდა ისინი და დასასრულ შეძლებისადაგვარად გაერუსებინა. აი ამ ცარიზმსა და მისი მჩაგვრელი სისტემის მიმართ იყო უარყოფითად განწყობილი ა. ყაზბეგი და არა რუსი ხალხისადმი საზოგადოდ, მაგრამ ცარიზმის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი თვით პროგრესული რუსული ლიტერატურა. ნუ თუ, მაგალითისათვის, ლ. ნ. ტოლსტოი, რომელიც შეუბრალებლად ამათრახებდა თვითმპყრობელობის სისაძაგლეს, ანტირუსული განწყობილების კაცი იყო?

არც თუ მეორე შეხედულებაა სწორი. ა. ყაზბეგი რომ პატრიოტი იყო, ამის ნათელსაყოფად საჭირო არაა მისი გამოცხადება გაბრიელ ყაზბეგის პოლიტიკურ თანამოაზრედ. ა. ყაზბეგი არასდროს არ ყოფილა პოლიტიკური თანამოაზრე გაბრიელ ყაზბეგისა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ახშობდა მისი თანამემამულეების „სამართლიან“ აჯანყებას 1804 წელს; იმ გაბრიელისა, რომელიც ცარიზმისათვის სასარგებლო საქმიანობისათვის, ალექსანდრეს სარკაზმული სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირდაპირ შაირის მუნდირით დაჯილ-

დღეს და რომელსაც ეპოლეტებით მხარ-ბეჭი აუყვავეს“. ალექსანდრეს არ შეეძლო გაეზიარებია პოლიტიკური მრწამსი გაბრიელ ყაზბეგისა, რომელიც „მარჯვენა ხელი“ ყოფილა პ. ციციანოვისა, იმ ციციანოვისა, რომელიც იმდენად ქართველი პატრიოტი არ იყო, რამდენადაც ცარიზმის აგრესიული ზრახვების განმახორციელებელი სახელოვანი მხედართმთავარი, იმ ციციანოვისა, რომელსაც ქართული წარმოშობა დიდ უბედურებად და თავისი ბიოგრაფიის სამარცხვინო ფაქტად მიაჩნდა.

ჩვენ ერთი რამე უნდა გვახსოვდეს. ქართველი პატრიოტები ჯერ კიდევ XV ს-დან იშვერდნენ ხელს და იყურებოდნენ მართმადიდებელი რუსეთისაკენ, რომლის დახმარებით ცდილობდნენ თავი დაეღწიათ სპარსულ-თურქული რელიგიურ-პოლიტიკური აუტანელი გარემოცვისაგან. მათ უნდოდათ რუსეთთან დაახლოება, ერთობა, მეგობრობა, კავშირი და მისი მფარველობა—დახმარება, რომელიც 1783 წლის ტრაქტატით იყო ნაგულისხმევი; ასეთს ერთობაზე ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, მას შესტრფოდა ერეკლე მეორე და მისი თანამოაზრენი; ეს ერთობა და კავშირი იყო საფუძველი ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის და ალ. ყაზბეგის პოლიტიკური კონცეფციისა და არა ის ურთიერთობა, რომლისთვისაც თავგამოდებით იბრძოდნენ გენერალი ციციანოვი და მისი „მარჯვენა ხელი“ გაბრიელ ყაზბეგი. გაცრუებულმა მოლოდინმა, ძირითადად შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ყველა თავისი მწვავე შედეგებით, გამოიწვია ის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ტენდენცია და ცარიზმისადმი ოპოზიცია, რომელიც თავს იჩენს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში, კერძოდ ალ. ყაზბეგის შემოქმედებაშიც. ქართული ლიტერატურის წარმომადგენელნი, მათ შორის ალ. ყაზბეგიც, თავის პატრიოტულ-მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდენ ეწარმოებიათ ბრძოლა ცარიზმის მიერ ჩვენში შექმნილი უსამართლობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მათ მოიტანეს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, რომელმაც გამოასწორა ეს უსამართლობა და რომელშიც საქართველომ პოვა განხორციელება თავისი პოლიტიკურ-კულტურული იდეალისა და დიდი ხნის მოლოდინისა.

ამრიგად, ალ. ყაზბეგის პატრიოტიზმი იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ის შეურიგდა ცარიზმის მიერ შექმნილ უსამართლობასა და ბოროტებას, რომლისთვისაც თავგამოდებით იბრძოდა მისი პაპა გენერალ ციციანოვთან ერთად, არამედ იმაში, რომ ის ებრძოდა მას.

გამოჩენილი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, რასაკვირველია, არაერთი და ორი საძიებელი და სარკვევი საკითხი აღმოჩნდება, რომელსაც მეცნიერებამ პასუხი უნდა გასცეს. ჩვენს ინსტიტუტში ყაზბეგი სპეციალური თემატიკის საგნად ჯერ არ ყოფილა. მხოლოდ ამ ხეიმთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მისი თანამშრომელი მონაწილეობას ღებულობდა იუბილარის თხზულებათა აკადემიური ტექსტის დამზადებაში, ხოლო მიმდინარე სამეცნიერო სესიაზე გამოტანილია ექვსი მოხსენება მისი შემოქმედების შესახებ. აქ გამოტანილი საკითხებით, თავისთავად იგულისხმება, ყაზბეგოლოგია ვერ ამოიწურება, მაგრამ დაწყებული საქმე გაგრძელებას პოვებს შემდგომს მუშაობაში.